



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა
სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 7 ივნისი, 2023 წელი

საბოლოო დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 1 აგვისტო, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	21
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	25
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი.....	33

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მატე ჩანადი, ლორანდის უნივერსიტეტი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექსპერტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა კობახიძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით ფუტყარაძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	-

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	საქართველოს უნივერსიტეტი
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0533
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ- ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

პროგრამა ახალია და წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ნაწილს. აკრედიტაციის შემთხვევაში განხორციელდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე.

პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის ყველა ძირითადი ასპექტის ფუნდამენტურ შესწავლაზე და პრაქტიკული მაგალითების ჩვენებაზე, რაც დაეხმარება სტუდენტს აქტიურად ჩაერთოს ამ სფეროში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში საზღვარგარეთ.

პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს მისცეს ნაწილაკების ფიზიკის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც გამყარებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებით. ასევე, შეესაბამება მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მოთხოვნებს (როგორცაა, მაგალითად CERN, FZJ, GSI). გამორჩეულად მოტივირებულ სტუდენტებს პროგრამა აძლევს შესაძლებლობას მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა ელემენტარული ნაწილაკების ექსპერიმენტულ ფიზიკაში და განივითარონ შესაბამისი უნარები.

პროგრამა შედგება ძირითადი და არჩევითი კურსებისაგან. პროგრამის ძირითადი საგნების კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 102 კრედიტს (72 კრედიტი სავალდებულო კურსებისთვის და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისთვის). არჩევითი კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 36 კრედიტს, საიდანაც სტუდენტს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს 18 კრედიტი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა 120-ს შეადგენს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2023 წლის 7 ივნისს მათე ქსანადი, ავთანდილ თავხელიძე, თამთა კობახიძე და დავით ფუტკარაძე პირადად ეწვივნენ თბილისში მდებარე საქართველოს უნივერსიტეტს. ისინი შეხვდნენ საერთაშორისო აკრედიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორებს (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს), პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ზოგიერთი თანამშრომელი, სტუდენტი და დამსაქმებელი შეხვედრებს ონლაინ დაესწრნენ. ექსპერტებმა ასევე მოინახულეს ბიბლიოთეკა და ამ პროგრამისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, რომელთა ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტში მდებარეობს.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს.

პროგრამა ნათლად აყალიბებს სასწავლო მიზნებსა და სასურველ შედეგებს, რაც შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის შინაარსი თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას. მაღალი ენერჯის ფიზიკის სპეციფიკური ცოდნის გარდა, არის ერთი მცირე ხარვეზი, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების ზოგადი ფიზიკის ცოდნასთან.

წინაპირობები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებას, თუ არ ჩავთვლით იმ სტუდენტების ზოგადი ფიზიკის ცოდნის დონეს, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკის სწავლის გამოცდილება. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, შესაბამისი მომსახურების ჩათვლით. ასევე, უზრუნველყოფილია მაღალი დონის სამეცნიერო ხელმძღვანელობა. ხელმისაწვდომია პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას და მიზნების მიღწევას. და ბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის აუცილებელ გარანტიებს.

▪ რეკომენდაციები

შეფასებისას ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები.

- სტუდენტების ცოდნა ზოგად ფიზიკაში უნდა დადასტურდეს ჩარიცხვისას ან დასრულებისას. გარდა ამისა, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხოლოდ ის სტუდენტები დაუშვას პროგრამაზე, ვისაც ფიზიკის სხვადასხვა ასპექტის (ბირთვული ფიზიკა, მასალათმცოდნეობა, ფიზიკის კომპლექსური სისტემები და ა.შ.) ცოდნა გააჩნიათ, ან ზოგადი ცოდნის არმქონე სტუდენტებს შესთავაზოს შესაძლებლობა აღნიშნული სასწავლო გეგმის მიღმა დაეუფლოს ზემოთაღნიშნულ დანარჩენ საგნებს. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ვებგვერდზე <https://ug.edu.ge/ge/programs/2> გამოქვეყნდება გასაუბრებამდე ერთი თვით ადრე; თუმცა იგი არ არის ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს, სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა ზუსტი თემები.
- გარდა ამისა, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ცოდნა ფასდება ზეპირ გამოცდაზე. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ფიზიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის საჭიროა ზოგადი ფიზიკის ცოდნა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი სპეციალიზაცია ნაწილაკების ფიზიკაა. და კვლავ, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები ხელმისაწვდომი იქნება ფაქტობრივ გასაუბრებამდე, მაგრამ ის არ იყო ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს.
- უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. აკადემიური პერსონალის უმეტესობა არ არის აფილირებული უმაღლეს სასწავლებლებთან და ასოცირდება სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან, რაც საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ბიუჯეტში შევიდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამოყენების საფასური.

(გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო განახლებული ბიუჯეტი, რომელიც უკვე შეიცავდა ამ პუნქტს).

- სილაბუსში უნდა მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოები ლექციების შესაბამისად და არ უნდა იყოს არჩევითი, სხვა სიტყვებით, ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ერთი ან მეტი ლაბორატორიული კურსი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

შეფასებისას ჩამოყალიბდა შემდეგი რჩევები.

- სასურველია პროგრამამ უზრუნველყოს ყველა კურსდამთავრებულისთვის ფიზიკის ფართო სპექტრის ცოდნა. ეს შეიძლება დადასტურდეს მისაღებ გამოცდაზე, ან უნდა არსებობდეს კლასები „დაწვევისთვის“, რომლებიც ღიაა მათთვის, ვისაც ფიზიკის ან მათემატიკის ნაკლები ცოდნა აქვს.
- თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები, როგორცაა გემიფიკაცია, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სწავლაში, ისე სწავლის შედეგების შეფასებაში.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

შეიძლება აღინიშნოს ერთი საუკეთესო პრაქტიკა: მჭიდრო კავშირები მსოფლიოს წამყვან შესაბამის ლაბორატორიებთან, კერძოდ CERN- თან და ქართველი მეცნიერების პროგრამაში ჩართვა ამ მიმართულებით უმაღლესი დონის კვლევებში. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას უახლეს კვლევებსა და ტექნოლოგიებში.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

-

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს მკაფიო მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში. მიუხედავად იმისა, რომ აღწერა მოკლეა, ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა პროგრამის ძირითადი მიზნები. ეს მოიცავს ღრმა და პრაქტიკულ ცოდნას ნაწილაკების ფიზიკის სფეროში. უფრო კონკრეტულად, მაღალი ენერჯიის ფიზიკის ქვედარგში. გარდა ამისა, კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს მსხვილ საერთაშორისო ექსპერიმენტებში თანამშრომლობა, ასევე, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება.

პროგრამის მიზნების უფრო სრულყოფილი შეჯამება, რომლებიც ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ეფუძნება ერთმანეთს, არის შემდეგი:

1. შეიძინოს ღრმა და სისტემატური ცოდნა მაღალი ენერჯიების ნაწილაკების ფიზიკაში.
2. გააცნობიეროს თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის პროგრამები და შეძლოს მათში მონაწილეობა.
3. მზად იყოს ითანამშრომლოს მსოფლიოში წამყვან ინსტიტუტებთან, როგორცაა CERN ან GSI
4. გააგრძელოს კვლევა და სწავლა დოქტორანტურის დონეზე, სადოქტორო პროგრამაზე.
5. დასაქმდეს კვლევით ცენტრებში ან ლაბორატორიებში საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.
6. განახორციელოს ლაბორატორიულ სამუშაოებზე დაფუძნებული ძირითადი კვლევა ან ინოვაცია.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეეძლებათ ჩააბარონ სადოქტორო პროგრამაზე როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით და დაიწყოთ წარმატებული სამეცნიერო კარიერა. ალტერნატიულად, ამ პროგრამაში მიღწეული სწავლის შედეგები საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჩაერთონ საქმიანობაში საბაზისო კვლევის მიღმა.

მათ მიერ შექმნილი უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობა შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს წვლილი შეიტანონ დარგის, ან ზოგადად საზოგადოების განვითარებაში კვლევისა და ინოვაციების მეშვეობით.

გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლებლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესწავლისას ნათლად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა მათთან აბსოლუტურ შესაბამისობაშია და ეხმარება უსდ მისიას მის სწრაფვაში ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ. კერძოდ, ასეთი მაღალი დონის სამეცნიერო პროგრამა აუცილებელია იმისათვის, რომ უსდ იყოს რეგიონში წამყვანი უნივერსიტეტი, რომელიც ასოცირდება კვლევის უმაღლეს სტანდარტებთან. უსდ ასევე მიზნად ისახავს იყოს ყველაზე ინოვაციური უნივერსიტეტი საქართველოში, ხოლო CERN- ის ინოვაციების უმაღლესი სტანდარტები ნამდვილად უზრუნველყოფს ამ ხედვის მიღწევას.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მსოფლიოში წამყვანი მეცნიერების მაღალი ენერჯების ნაწილაკების ფიზიკის დარგში მონაწილეობის მისაღებად, როგორცაა ATLAS ექსპერიმენტი CERN- ში, უნივერსიტეტს სჭირდება კარგად მომზადებული სტუდენტები. პროგრამის ძირითადი მიზანია სათანადოდ მოამზადოს სტუდენტები ზემოთაღნიშნული უახლესი კვლევის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- ვიზიტი სხვადასხვა ლაბორატორიაში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი, მისია, ხედვა და ღირებულებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს.

სწავლის შედეგები, რომელიც გამომდინარეობს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის 1.1 ნაწილში ჩამოთვლილი პროგრამის მიზნებიდან, შემდეგია.

1. კურსდამთავრებულები იცნობენ მაღალი ენერგიების ნაწილაკების ფიზიკის საფუძვლებსა და უფრო სიღრმისეულ დეტალებს: ველის თეორიიდან, კვანტური ფიზიკითა და თანამედროვე პროგრამირებით დაწყებული ნაწილაკების დეტექტორებით და ამაჩქარებლებით დამთავრებული.
2. გარდა ამისა, ისინი ეცნობიან ფართომასშტაბიანი მაღალი ენერგიების ნაწილაკების ფიზიკის ექსპერიმენტებს, მათი მუშაობის სპეციფიკასა, სამეცნიერო მეთოდებსა და მიზნებს.
3. წარმატებულ სტუდენტებს შეუძლიათ შეუერთდნენ მსოფლიო დონის ექსპერიმენტებს საერთაშორისო ლაბორატორიებში, როგორებიცაა CERN, J- PARC, GSI, Dubna და ა.შ.
4. შეუძლიათ წარმატებით ჩააბარონ სადოქტორო პროგრამებზე სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ინსტიტუტებში, შეუძლიათ დაწერონ და შეიტანონ საგრანტო განაცხადები და შექმნან სრულმასშტაბიანი სამეცნიერო ნაშრომები.
5. ასევე, წარმატებით წარმართავენ არასაბაზისო კვლევებს სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიებში.
6. მიეცემათ ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობა ნაწილაკების ფიზიკის მეცნიერებასთან დაახლოებულ სფეროებში.

მოცემული შედეგები სრულად შეესაბამება ნაწილაკების ფიზიკის განათლების სტანდარტებს.

ის, რაც სწავლის შედეგებს გარკვეულწილად აკლია, არის ზოგადი განათლება ფიზიკაში. ფიზიკის მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ფიზიკის ზოგადი ცოდნა. მართალია ფიზიკის ბაკალავრის (ან მსგავსი) ხარისხის მქონე სტუდენტებს შეიძლება ჰქონდეთ ეს უნარები ჩარიცხვის ეტაპზე, მაგრამ შესაძლოა არ ჰქონდეს ინჟინრის ხარისხის მქონე პირებს. ასევე, შესაძლოა განსხვავდებოდეს ფიზიკის ბაკალავრის განათლების ხარისხი. ამ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ყველას ჰქონდეს ფიზიკის ზოგადი ცოდნა, კვანტური მექანიკიდან დაწყებული მასალებისა და ბიოფიზიკის ჩათვლით. მიღებული ცოდნა უნდა მოიცავდეს კალკულუსს, კომპლექსური ცვლადის ფუნქციებსა და მათემატიკის სხვა მნიშვნელოვანი სფეროების ღრმა პრაქტიკულ უნარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- ვიზიტი სხვადასხვა ლაბორატორიაში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი, მისია, ხედვა და ღირებულებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა კურსდამთავრებულს ჰქონდეს ფიზიკის ფართო ცოდნა. ეს შეიძლება დადასტურდეს მისაღებ გამოცდაზე, ან უნდა არსებობდეს კლასები „დაწვევისთვის“, რომლებიც ღიაა მათთვის, ვისაც ფიზიკის ან მათემატიკის ნაკლები ცოდნა აქვთ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ შეესაბამება პროგრამის ყველა შედეგი შესაბამის კურსებსა და აქტივობებს, რომლითაც ეს შედეგები ფასდება. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ მასალებში ასეთი რუკა არ არის შეტანილი. ამის ნაცვლად, შეფასების რუკის დეტალები მოცემულია დებულებებში - და ეს, რა თქმა უნდა, განხილული იყო ადგილზე ვიზიტის დროს.

აქედან გამომდინარე, შეფასების მექანიზმების ყველაზე მნიშვნელოვანი დესკრიპტორია ის, რომ სემესტრის სასწავლო პერიოდში შეფასების ფორმად გამოიყენება როგორც საშინაო დავალება, ასევე ლაბორატორიული სამუშაო. ვინაიდან ბევრი კურსი ეხება და ასწავლის ელექტრონიკასთან და პროგრამირებასთან დაკავშირებულ თანამედროვე ექსპერიმენტულ ინსტრუმენტებს, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოების მეშვეობით და ეს სრულად არის განხორციელებული პროგრამის გეგმებში.

სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების, მაგალითად, ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა იზიარებს მსგავს მიდგომას. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში გამოიყენება გემიფიკაცია ან მსგავსი

თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები. ამ პროგრამას ეს ასპექტი აკლია და ასეთი დეტალების დამატება შესაძლებელია განხორციელდეს სამომავლოდ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქულებით შეფასება და ქულების ლიმიტები დეტალურადაა აღწერილი აღნიშნულ დებულებებში.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული. საჭირო მონაცემების მოწოდება, შეგროვება და ანალიზი ხდება სწავლის შედეგების დამაკმაყოფილებლობის დონის გასაზომად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- დებულებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები, როგორცაა გემიფიკაცია, შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სწავლაში, ისე სწავლის შედეგების შეფასებაში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზემოთ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია უსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ვიზიტის დროს გამართული განხილვების საფუძველზე გამოვლინდა, რომ გათვალისწინებული იყო წამყვანი უსდ-ების სამაგისტრო პროგრამები.

ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სტრუქტურა, მაღალი ენერგიების ნაწილაკების ფიზიკის მიმართულებით იმეორებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. სტუდენტები მიიღებენ აუცილებელ ცოდნას როგორც თეორიულ, ასევე ექსპერიმენტულ საგნებში. თეორიული მაღალი ენერგიების ფიზიკის სავალდებულო კურსებია:

- სიმეტრიები და ჯგუფთა თეორია
- ნაწილაკების ურთიერთქმედების ფარდობითი კინემატიკა
- ნაწილაკების ფიზიკა
- ველის ყალიბური თეორიები და სტანდარტული მოდელი
- სტანდარტული მოდელი და სტანდარტული მოდელის მიღმა

ექსპერიმენტული საგნებია:

- ელემენტარულ ნაწილაკთა ამაჩქარებლები
- ელემენტარულ ნაწილაკთა დეტექტორები I
- ელემენტარულ ნაწილაკთა დეტექტორები II
- მონაცემთა ანალიზის მეთოდები ნაწილაკების ფიზიკაში
- მონაცემთა გაღრმავებული ანალიზი

გარდა ამისა, არსებობს პროგრამის გასაუმჯობესებელი საგნები:

- კვლევითი სემინარი
- კვლევითი პროექტების მართვა

და ბოლოს, წარმოდგენილია არჩევითი კურსები; სტუდენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ შემდეგი ექვსი კურსიდან სამი:

- C++ პროგრამირება I
- C++ პროგრამირება II
- გამოყენებითი ელექტრონიკა I
- გამოყენებითი ელექტრონიკა II
- რიცხვითი მეთოდები
- მიზნობრივი ინგლისური ენა (ფიზიკა)

ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების წარმატებულ მიღწევას. მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუტები გვთავაზობენ კურსების მსგავს სტრუქტურას.

ასევე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ფიზიკის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია ფიზიკის სხვა საგნების მიმოხილვა, როგორცაა ბირთვული ფიზიკა, მასალების მეცნიერება და ა.შ. და ფიზიკის მაგისტრის წოდების მფლობელი ვალდებულია იცნობდეს ამ მიმართულებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- ვიზიტი სხვადასხვა ლაბორატორიებში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხოლოდ ის სტუდენტები დაუშვას პროგრამაზე, ვისაც ფიზიკის სხვადასხვა ასპექტის (ბირთვული ფიზიკა, მასალათმცოდნეობა, ფიზიკის კომპლექსური სისტემები და ა.შ.) ცოდნა გააჩნიათ, ან ამ ზოგადი ცოდნის არმქონე სტუდენტებს შესთავაზოს შესაძლებლობა აღნიშნული სასწავლო გეგმის მიღმა დაეუფლონ ზემოხსენებულ საგნებს. გაითვალისწინეთ, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ვებგვერდზე <https://ug.edu.ge/ge/programs/2> გამოქვეყნდება გასაუბრებამდე ერთი თვით ადრე; თუმცა იგი არ არის ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს, სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადასტურა ზუსტი თემები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
 - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური კურსებისა და საგნების შინაარსი, აგრეთვე შესაბამისი კრედიტები დეტალურად არის მოცემული თვითშეფასების ანგარიშის პროგრამისა და სილაბუსის ნაწილში. ეს ცხადყოფს, რომ მოცემული კურსის, ისევე როგორც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია.

ფიზიკის თეორიული საგნები ეხმარება სტუდენტებს გაეცნონ ყველა დეტალს, რომელიც საჭიროა მაღალი ენერჯების ფიზიკის გასაგრძელებლად. ამას დეტალურად ადასტურებს:

- კურსის შინაარსის აღწერები,
- კურსის მიზნები,
- სწავლის შედეგების აღწერა,
- კურსის მეთოდები
- ასევე, სალექციო ლიტერატურა.

სასწავლო მასალად მითითებულია წამყვანი საერთაშორისო მასალები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

ექსპერიმენტული კურსები ტარდება შესანიშნავად აღჭურვილ ლაბორატორიებში. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები გაივლიან მომზადებას, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ მსოფლიო დონის მეცნიერების შესრულებას წამყვან ლაბორატორიებში. ეს ადასტურებს, რომ ამ საგნებში სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- ვიზიტი სხვადასხვა ლაბორატორიებში
- ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის წინაპირობები და პროცედურები ნათლად არის ასახული თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დებულებებში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი მიღების წესი და პროცედურები. მათი საჯარო ხელმისაწვდომობა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ პროგრამის დაწყების შემდეგ, თუმცა, რეგულაციების მიხედვით, უნდა გასაჯაროვდეს.

ამ წინაპირობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ის, რომ მიიღებენ სამი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

- ფიზიკის (ან ფიზიკის მეცნიერებათა, ეს ეკვივალენტურია) ბაკალავრი

- საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი
- ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი.

მართლაც, ამ ხარისხების მქონე სტუდენტებს ნამდვილად შეუძლიათ წარმატებით მიაწოდონ აღწერილი სწავლის შედეგებს. ინჟინერიისკენ მიდრეკილების მქონე სტუდენტებისთვის ექსპერიმენტული მიმართულებები (დეტექტორის შემუშავება და მასთან დაკავშირებული ინოვაციები) ყველაზე შესაფერისი იქნება, სინამდვილეში ასეთ სტუდენტებს დიდი მონდომებით ეძებენ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ექსპერიმენტებში. თუმცა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ზოგად ფიზიკაში ღრმა ცოდნის არმქონე სტუდენტებსაც ჰქონდეთ ის შესაძლებლობები და კომპეტენციები, რაც ფიზიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს.

თვითშეფასების ანგარიში ასევე ადასტურებს, რომ ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს რეგულაციების შესაბამისად გაწერილი წინაპირობების საფუძველზე. აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა; გარდა ამისა, ჩატარდება ზეპირი გასაუბრება. ეს შესანიშნავია, რადგან ამით შეიძლება დადასტურდეს ფიზიკის საჭირო ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები პროგრამისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან
- დებულებები

რეკომენდაციები:

- გასაუბრების თემები (თუ მოწმდება ფიზიკის საბაზისო ცოდნა) უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯარო. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ფიზიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს სჭირდება ზოგადი ფიზიკის ცოდნა, მაშინაც კი, თუ სპეციალობა არის ნაწილაკების ფიზიკა. და კვლავ, ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ გასაუბრების თემები ხელმისაწვდომი იქნება ფაქტობრივ გასაუბრებამდე, მაგრამ იგი არ იყო ხელმისაწვდომი ადგილზე ვიზიტის ან განხილვის დროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

2.1. პროგრამაზე
დაშვების
წინაპირობები



2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამეცნიერო კვლევასა და პრაქტიკაზე. თითოეულ სტუდენტს ჰყავს კურატორი სასწავლო პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალიდან, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ჩაერთოს რომელიმე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტში. გარდა ამისა, ზაფხულის განმავლობაში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ CERN-ის და სხვა ევროპული სამეცნიერო ცენტრების მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლებში და, რაც მთავარია, წარმატებული სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომს დაასრულებენ CERN-ში.

პროგრამის მიღმა, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით მიმართულებებში, განახორციელონ საკუთარი ინოვაციური იდეები სტარტაპის საწარმოში და Idealab-ში, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებსა კონკურსებში, განახორციელონ საკუთარი პრაქტიკული პროექტები კლუბების მეშვეობით და მიიღონ უნივერსიტეტის დაფინანსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მონაწილეობის დროს
- პროექტები (სტუდენტთა პროექტები, სამაგისტრო პროექტები)
- იდეალაბის ელექტრონული ლაბორატორია, სტარტაპის საწარმო
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი / შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და სრულად შეესაბამება სილაბუსით გაშუქებულ თემებს. ტრადიციული ლექცია-სემინარების გარდა, თითოეული სალექციო კურსი მოიცავს ინტერაქციას; ლექტორი იყენებს აუდიო და ვიდეო მასალას ლექციის შინაარსის გასაუმჯობესებლად; სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და რესურსები იმუშაონ ლიტერატურაზე, მოიძიონ საჭირო მასალა ბიბლიოთეკაში როგორც წიგნებიდან, ისე ელექტრონული ფორმატით.

კურსების სასწავლო მასალა მოიცავს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს ინტეგრირებული ფორმით. გარდა ამისა, სტუდენტებს მუდმივად უწევთ ლექტორებთან და სხვა სტუდენტებთან ერთად სიახლეების და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური საკითხავის, მათ შორის ერთმანეთის ნამუშევრების, განხილვა და გაანალიზება, მცირე მასშტაბის სამეცნიერო კვლევის, კრიტიკულად შეფასება. საგნების ნაწილი მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს, რომელთა შესრულებისას გამოიყენება ქმედებებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, ასევე, დემონსტრირების მეთოდი. თუმცა, რადგან სილაბუსში არ არის მითითებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, ძნელი სათქმელია, რამდენადაა გამოყენებული აღნიშნული „სწავლება-სწავლის მეთოდები“ და როგორ მიიღწევა კომპონენტის შინაარსის დაუფლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა
- სილაბუსი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- სილაბუსში უნდა მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოები ლექციების შესაბამისად და არ უნდა იყოს არჩევითი, სხვა სიტყვებით, ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ერთი ან მეტი ლაბორატორიული კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტის შეფასება ხორციელდება კანონით განსაზღვრული სასწავლო კურსით დადგენილი პროცედურების მიხედვით (60% შუალედური შეფასება და 40% საბოლოო შეფასება). შეფასების ფორმებია ქვიზი, კოლოკვიუმი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია, ანგარიში, პრაქტიკული დავალება.

გამოკითხვის ტიპი შეიძლება იყოს წერითი, ზეპირი, კომპიუტერული გამოცდა, პრაქტიკული დავალება. შეფასების კრიტერიუმები აღწერილია კონკრეტულ სილაბუსებში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ნაშრომის შეფასების შესახებ ინფორმაცია საკუთარი My UG სისტემის პროფილიდან, ნახოს ლექტორის კომენტარები თითოეულ საგანზე. გასაუბრებებისას სტუდენტის UG პროფილში არ ჩანდა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და რომელ აქტივობაში რა შეფასება ჰქონდა მიღებული.

მოსწავლეს შეუძლია გაასაჩივროს ნამუშევარი და მიიღოს დასაბუთებული პასუხი შეფასებასთან დაკავშირებით. თითოეულ სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი შეფასების ფორმები და შეფასების კრიტერიუმები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, საბოლოო შეფასების სახით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის მეთოდის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის მომზადება რეგულირდება მაგისტრატურის დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა
- კურსები
- ონლაინ UG სისტემა

- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის, საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების, სწავლების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესახებ. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებებმა დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათების, ისე სხვადასხვა სოციალური პლატფორმების გამოყენებით. ელექტრონული სერვისების საშუალებით უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების ორგანიზების პროცესში. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებისთვის შეხვედრების მოწყობა დამსაქმებლებთან, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს დაემყარებინათ პირადი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან და გასცნობოდნენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ხოლო თავად პროგრამა მიიღებდა გაუმჯობესებულ გამოხმაურებას დამსაქმებლებისგან პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ექსპერტების რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა მოაწყოს შეხვედრები სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის. გასაუბრებებისას პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ ჰქონიათ. უფრო მეტიც, როგორც უნივერსიტეტში, ასევე ელექტრონულ რეჟიმში აკადემიური პერსონალი უწევს სტუდენტებს შესაბამის კონსულტაციას და დახმარებას, იქნება ეს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები თუ კურიკულუმის გარეთ პროექტებში დახმარება. საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებს უწევს შესაბამის მომსახურებებს. სტუდენტები იღებენ სათანადო სერვისებს My UG პორტალის მეშვეობით, სადაც მათ შეუძლიათ გაიგონ და გაასაჩივრონ თავიანთი შეფასებები და ისარგებლონ სხვადასხვა სერვისებით. გასაუბრებების დროს დადასტურდა შესაბამისი სპეციალობების სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებში ან საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. მათ აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტურ კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში საქართველოში მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ამოქმედდა Ideallab, სადაც სტუდენტები აქტიურად მუშაობენ სამეცნიერო პროექტებზე, იქნება ეს საბაკალავრო, სამაგისტრო პროექტები თუ სხვა სამეცნიერო სამუშაო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სტუდენტურ მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურები
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა მოაწყოს შეხვედრები სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი მაგისტრატურის დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი.

ხელმძღვანელებთან და მაგისტრატურის სტუდენტებთან გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში, მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში, ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ კვლევის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო და კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, მათი კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობით.

თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და პოტენციური ხელმძღვანელის მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე. ხელმძღვანელი თუ პოტენციური ხელმძღვანელი შეირჩევა კვლევის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ხელმძღვანელს აქვს რეგულარული კონსულტაციები სტუდენტთან, რისთვისაც სამუშაო დატვირთვაში გამოყოფილია კონსულტაციის საათები. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი სტუდენტს აძლევს რჩევებს ნაშრომის თეორიული ნაწილის მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში. ხელმძღვანელი არა მხოლოდ რჩევებს აძლევს სტუდენტს კვლევის პროცესში, არამედ ეხმარება სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და შედეგების წარმოდგენაში. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული

სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა უმეტესობა თემითა და შესრულებით მხრივ იყო საინტერესო და შესაფერისი.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა	10/წელიწადში (2026 წლიდან)
მაგისტრანტთა რაოდენობა	10 თითოეულ სასწავლო წელს
თანაფარდობა	1

ზემოთ მოცემულ ცხრილში, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ითვალისწინებს წელიწადში 10 სტუდენტის მიღებას, ასე რომ (გარდა გარიცხულებისა) მოსალოდნელი იქნება 2026 წლიდან 10 ნაშრომი წელიწადში. სწავლის ყოველ წელს ასევე იქნება 10 სტუდენტი. ეს შეიძლება შევადაროთ 4.2-ში განხილულ ხელმძღვანელთა რაოდენობას, რაც არის 3; აქედან გამომდინარე, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა არის 3.33. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გარე პერსონალს შეუძლია შეასრულოს როგორც კონსულტანტის, ისე ტრენინგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია, ხოლო აფილირებული პერსონალი იღებს ოფიციალურ პასუხისმგებლობას სამაგისტრო ნაშრომზე უსდ-ში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება მათი CV-ებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებითა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობით. პროგრამის განხორციელებაში სულ 12 ადამიანია ჩართული. აქედან 4 აკადემიური პერსონალია, 8 მოწვეული ლექტორი. აკადემიურ პერსონალს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, არანაკლებ 3 ან 6-წლიანი სამეცნიერო გამოცდილება და სამეცნიერო პუბლიკაციები. მოწვეული პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის პერსონალის დებულების

შესაბამისად. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ვარგისიანობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, პუბლიკაციები ან/და პროფესიული გამოცდილება.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კვალიფიკაციის მიხედვით, სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევას და პროგრამის მდგრადობას. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეებით. კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული განათლება, პუბლიკაციები ან/და პროფესიული გამოცდილება.

თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას - ყოველ 5 მოწვეულ ლექტორზე 1 აკადემიური პერსონალი.

თუმცა, აკადემიური პერსონალის უმეტესობა ასოცირდება სხვა უნივერსიტეტებთან, რაც საშიშროებას უქმნის პროგრამის მდგრადობას. უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ⁶	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	12	11	11	4
- პროფესორი	2	1	1	2
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	8	8	8	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის რეზიუმეები (CVs)
- პერსონალის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

⁶ ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- აკადემიური პერსონალის უმეტესობა არ არის აფილირებული უმაღლეს სასწავლებლებთან, ასოცირდება სხვა ქართულ უნივერსიტეტებთან. ეს საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას. უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ არეგულირებს მაგისტრანტთა ხელმძღვანელობას ცენტრალური წესით მაგისტრატურის დებულებაში და უზრუნველყოფს, რომ მაგისტრანტებს ჰყავდეთ კვალიფიციური ხელმძღვანელები შესაბამისი უნარებითა და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სწავლის პერიოდში, თითოეული სტუდენტისათვის განსაზღვრულია კურატორი, რომელიც დაეხმარება მაგისტრანტებს მეცნიერულ კვლევაში ჩაბმვაში. ეს რესურსი ანალოგიურად გამოყენებული იქნება მაგისტრატურის მართვაში. თითოეულ კურსდამთავრებულს მიეცემა შესაძლებლობა ჩაატაროს სამაგისტრო კვლევა CERN-ში.

პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს აქტიური ხელმძღვანელები. თუმცა, აფილირებული და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისად მაღალია იმისთვის, რომ იმსახურონ მაგისტრანტების

ხელმძღვანელებად ან თანახელმძღვანელებად. გასაუბრებებისას აკადემიურმა პერსონალმა გამოთქვა მზადყოფნა უხელმძღვანელონ მაგისტრანტებს. ვარაუდობდნენ, რომ პროგრამის საწყის ეტაპზე ერთ-ერთი ხელმძღვანელი იქნებოდა აფილირებული, ხოლო თანახელმძღვანელი მოწვეული პერსონალი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	3	3	3
პროფესორი:	1	1	1
ასოცირებული პროფესორი	2	2	2
ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			
სამეცნიერო პერსონალი			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მაგისტრატურის დებულება
- გასაუბრებები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად ანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის შეფასებას უნივერსიტეტში ახორციელებენ ადმინისტრაცია და სტუდენტები. საუკეთესო პრაქტიკის განზოგადების მიზნით, სისტემატურ საფუძველზე ტარდება ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი პერსონალის შეფასება, რომელსაც ახორციელებს სკოლის ხელმძღვანელი აკადემიურ ოფისთან ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. შედეგების, ასევე რეკომენდაციების განხილვა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს სხდომაზე. სემესტრის ბოლოს სტუდენტები ელექტრონულად ავსებენ პერსონალის შეფასების კითხვარს. სკოლის ხელმძღვანელი სკოლის საბჭოს სხდომაზე კონკრეტული თანამშრომლების დასახელების გარეშე განიხილავს საერთო შედეგებს.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს, რომ პერსონალი ა) ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თავიანთ სფეროში არსებული სიახლეებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობაზე; ბ) ატარებს კვლევას და აქვეყნებს კვლევის შედეგებს; გ) მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პერსონალის შეფასების კომისია შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისაგან. მუდმივი წევრები არიან უნივერსიტეტის რექტორი, სკოლის ხელმძღვანელი, შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი/ინსტიტუტის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენლები.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ასევე ვასდება სტუდენტების გამოკითხვით. მეთოდი ითვალისწინებს გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების პროფესორების/ლექტორების შეფასებას უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით. ეს შედეგები განიხილება კომისიაზე.

საქართველოს უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ კვლევით საქმიანობას. ამ მიზნით უნივერსიტეტმა დააარსა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურს.

„სამეცნიერო ოთხშაბათები“ საქართველოს უნივერსიტეტის ახალი პროექტია, რომლის მიზანია აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში შემავალ სამეცნიერო ინსტიტუტში განცხადების შეტანის შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი დაადასტურებს, რომ უნივერსიტეტის სახელით აპირებს მონაწილეობას ამა თუ იმ მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციაში, სამეცნიერო ინსტიტუტი სრულად აუნაზღაურებს ხარჯებს.

აკადემიური პერსონალის განვითარებისა და წახალისების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბონუსების მინიჭების ინსტრუქცია, რომელიც ადგენს სამეცნიერო სტატიის რევენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებისათვის ანაზღაურების წინაპირობას. უნივერსიტეტი ასევე ანაზღაურებს მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებზე დასწრების ხარჯებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია სწავლების მეთოდების შემუშავებაში Erasmus+ პროექტში მდგრადი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებულ ტრენინგთან დაკავშირებული სწავლების ინოვაციური მიღწევების გაცნობა პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია შემდეგ პროექტში: უახლესი კომპეტენციები აკადემიურ სწავლებაში (MOCAT), რომლის მიზანია უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარება და აკადემიური პერსონალისათვის სწავლების მეთოდოლოგიის სფეროში უახლესი მეთოდების გაცნობა; პროექტის ფარგლებში შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა, სადაც სწავლების მეთოდებში 10-ზე მეტი სასწავლო კურსია ატვირთული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ურთიერთგაგების მემორანდუმები
- ბონუსების განსაზღვრის მეთოდოლოგია
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი ფლობს გარკვეულ ტექნიკურ და მატერიალურ რესურსებს, მათ შორის უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი) აღჭურვილ კომფორტულ სასწავლო აუდიტორიებს.

პროგრამა ითანამშრომლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტთან. აღნიშნულ ინსტიტუტში სტუდენტებს შეუძლიათ ნახონ ლაბორატორია, სადაც ისინი შეასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, იგეგმება არსებული ლაბორატორიის გაფართოება და გაუმჯობესება.

აუდიტორია შექმნილია როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან სათანამშრომლოდ.

უახლესი სახელმძღვანელოები და წიგნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო სტუდენტებისთვის საჭირო ლიტერატურა უზრუნველყოფილია მოთხოვნის სრული დაკმაყოფილების საფუძველზე. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გამოიყენონ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი
- თანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- შენობის გეგმა, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მუშაობს სავარაუდო ბიუჯეტის ფარგლებში. სკოლას, როგორც უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, აქვს სკოლის ბიუჯეტი, რომელიც დეპარტამენტების მიხედვით ნაწილდება. თითოეული დეპარტამენტი ემსახურება ერთ ან მეტ სასწავლო პროგრამას. პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს პროგრამის, სკოლების საერთო და, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის შემოსავლები. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები ძირითადად ფინანსდება სკოლის მიერ მოპოვებული საგრანტო პროექტების ფარგლებში ან უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, წარმოდგენილი პროექტის სახით.

პროგრამის ბიუჯეტში არ შედის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ქირა (სემესტრში 5000 ლარი), რაც აუცილებელია პროგრამისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის ბიუჯეტში უნდა შედიოდეს მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის (საქართველო) ლაბორატორიის არენდის საფასური. (გასათვალისწინებელია, რომ ადგილზე ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო განახლებული ბიუჯეტი, რომელიც უკვე შეიცავდა ამ პუნქტს).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან ს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან ს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის გასაუქმობესებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და რეგულაციების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების დონეზე სწავლისა და სწავლების ხარისხის მიღწევას, ზრუნავს კვლევასა და ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე. საქართველოს უნივერსიტეტმა შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

პროგრამებთან დაკავშირებით არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების დებულება, სადაც აღწერილია პროგრამების დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები. დოკუმენტი

თითოეული პროგრამისათვის აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამოუკიდებელ საბჭოს და პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს. პროგრამის შემუშავების საბჭო განიხილავს და ამტკიცებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სტრატეგიას და ადმინისტრაციული დეკანის მიერ წარდგენილ მარკეტინგის გეგმას. პროგრამის აკრედიტაციის საბჭო ასევე ამტკიცებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების პროექტს (მისიას, მიზნებს, სწავლის შედეგებს, კურიკულუმს და კომპონენტის/სილაბუსის წინაპირობებს) და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს; თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური დეკანის წარდგინებით, ანიჭებს კვალიფიკაციას საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები და ა.შ.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და ფაკულტეტზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/განვითარება ხორციელდება წინასწარ დადგენილი წესებისა და პროცედურების მიხედვით, ასევე წინასწარ დადგენილი და დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურები ხორციელდება პროგრამის დამტკიცების დადგენილი წესის შესაბამისად.

გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის თვითშეფასების ჯგუფი და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტ(ებ)ი/პერსონალი აქტიურად იყენენ ჩართულნი პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში.

გასაუბრების დადასტურდა, რომ პროგრამის შეფასებაში, დაგეგმვასა და შემუშავებაში მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა დაადასტურეს, რომ ზოგადად უნივერსიტეტში სტუდენტების გამოხმაურება გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ეფუძნება დოკუმენტირებულ პროცესებსა და პროცედურებს, ასევე შესაბამის ინსტრუმენტებს. გასაუბრებების პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულება ახორციელებს მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით დადგენილ პროცესს, ატარებს სხვადასხვა გამოკითხვებს, აქვს კავშირი დამსაქმებლებთან, იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ზემოაღნიშნული პროცესის მიზანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები დაექვემდებაროს შემდეგ პრინციპს: "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დანართები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- გასაუბრება

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასების გარე ნაწილში დაწესებულება ითვალისწინებს გამოხმაურებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გზით, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოხმაურება და ა.შ.

- უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
 - კურსდამთავრებულთა შეფასებების შესწავლა თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით
 - დამსაქმებლის კვლევა თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ფარგლებში ხდება შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარებისა და შესაძლებლობების გამოკვლევა და განსაზღვრა. ეს კვლევა ტარდება 3 წელიწადში ერთხელ
 - პროგრამის სრულყოფისა და განახლების მიზნით მსგავსი პროგრამები 3 წელიწადში ერთხელ მიმოიხილება, განიხილება შესაძლებლობები და მიიღება ზომები კონკურენტუნარიანი საუნივერსიტეტო პროგრამის საფუძველზე.

გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცდილობს ასახოს გარე შეფასების შედეგები ყოველდღიურ პროცესებში.

შეფასების გარე ნაწილში დაწესებულება ითვალისწინებს დამსაქმებლებისგან მიღებულ გამოხმაურებას. გასაუბრებებისას დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, სადაც მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება.

პროგრამებთან დაკავშირებით ასევე არსებობს დარგის 2 ექსპერტის გარე შეფასების ანგარიში. ერთ-ერთი მათგანი ძალიან ნათლად აღწერს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს და იძლევა რეკომენდაციებს სილაბუსების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ

აკადემიურმა პერსონალმა გაითვალისწინა რეკომენდაციების უმეტესობა. რჩევების მიხედვით, მათ შეიტანეს გარკვეული ცვლილებები თითოეულ კურსში.

საერთო ჯამში, დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განსავითარებლად იყენებს გარე შეფასების შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასების ანგარიშები
- გასაუბრებები
- პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის განაცხადი და დანართები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. ხარისხის გარე შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის დებულებებისა და დოკუმენტების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები) ჩართულობას.

დადასტურდა, რომ სტუდენტები და პროფესორები მონაწილეობენ სხვადასხვა გამოკითხვებში. შეფასების გარე ნაწილში დაწესებულება ითვალისწინებს დამსაქმებლებისგან მიღებულ გამოხმაურებას.

გასაუბრებებისას დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, სადაც მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩაატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს და რეგულარულ შეფასებას. ეს შეფასებები დაფუძნებული იქნება პროგრამების სპეციფიკურ მრავალფეროვან ინდიკატორებზე. ასევე, დადასტურდა, რომ შედარებასა და რამდენიმე ინდიკატორზე დამყარებული პროგრამის შეფასების შედეგები წარედგინება პროგრამის შემუშავების საბჭოს. საქართველოს უნივერსიტეტის რეგულაციების საფუძველზე, პროგრამის შეფასების შედეგები დადგენილი ინტერვალებით წარედგინება საბჭოს, რის საფუძველზეც განისაზღვრება პროგრამის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები.

დადასტურდა, რომ, ზოგადად, უნივერსიტეტს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების სათანადო მექანიზმები. დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი, რომელშიც მონაწილეობენ არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელი პირები, არამედ სტუდენტები, დამსაქმებლები, ექსპერტები, როგორც დარგიდან, ისე საგანმანათლებლო სივრციდან.

ბევრი და დეტალური პროცედურების მიუხედავად, როგორც ჩანს, თვითშეფასების ანგარიშს აკლდა გარკვეული ინფორმაცია, მაგალითად, გარე შეფასების ნაწილში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია, რომელიც აკლდა, მეტყველებდა მხოლოდ დაწესებულების სასარგებლოდ (უკეთესი იქნებოდა, დაეწერათ). ამიტომ უნივერსიტეტისთვის უმჯობესი იქნება, თუკი თვითშეფასების ანგარიშში ყველაფერი დეტალურად აღიწერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დანართები
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პერიოდული
შეფასება**

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონე: ფიზიკის მაგისტრი, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მათე კსანადი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები



ავთანდილ თავხელიძე

თამთა კობახიძე

დავით ფუტყარაძე

თქმს
3103121